ოთახი	სასტუმროს ნომრები	32.76
სააბაზანო	სასტუმროს ნომრები	26.15
სან-კვანძი	სასტუმროს ნომრები	3.9
საშხაპე	სასტუმროს ნომრები	8.05
საერთო ფართობი		294.61

საპროექტო მაღლივი შენობა +123.95 ნიშნულზე		
ლიფტი 4, 5	კიბის უჯრედი და სადარბაზო	10.8
კიბე	კიბის უჯრედი და სადარბაზო	15.33
ლიფტის შახტა	კიბის უჯრედი და სადარბაზო	8.23
ელ. ოთახი	დამხმარე სათავსო	6.05
ლიფტის ოთახი	კიბის უჯრედი და სადარბაზო	7.02
საერთო ფართობი		47.43

k2=		28712.68
ნიშნული	ობიექტი	ფართობი
1.35	საპროექტო	801.3
5.55	საპროექტო	732.24
12.95	საპროექტო	6590.16
46.25	საპროექტო	2119.41
57.35	საპროექტო	4408.67
83.25	საპროექტო	1562.97
94.35	საპროექტო	2170.8
112.85	საპროექტო	434.16
116.55	საპროექტო	384.48
120.25	საპროექტო	334.8
123.95	საპროექტო	51.39
ჯამი		19590.38

1.35	არსებული	2336.6
5.55	არსებული	2339
10.05	არსებული	2497.4
14.55	არსებული	1949.3
ჯამი		9122.3

არსებული შენობის ფართობების ანგარიში		
სარდაფი		
არსებული შენობა		ფართი /კვ.მ
სამზარეულო+საწყობი	დამხმარე ფართი	509.7
სამორინეს სამზარეულო	დამხმარე ფართი	194.11
სამორინეს სამზარეულოს დამხმარე ფართი	დამხმარე ფართი	168.4
სამრეცხაო	დამხმარე ფართი	259.65
ადმინისტრაცია	საოფისე ფართი	242.78
პერსონალის ფართი	დამხმარე ფართი	481.8
პერსონალის შესასვლელი	დამხმარე ფართი	23.11
დაცვა	დამხმარე ფართი	45.66
ტექნიკური ფართი	დამხმარე ფართი	192.29
შესასვლელი ოთახი	დამხმარე ფართი	149
ნარჩენების ოთახი	დამხმარე ფართი	61.8
მომსახურების დერეფანი1	დამხმარე ფართი	108.02
მომსახურების დერეფანი2	დამხმარე ფართი	82.46
მთლიანი ფართი		2518.78
მიწისპირა სართული		
არსებული შენობა		ფართი /კვ.მ
სასტუმროს შესასვლელი	დამხმარე ფართი	276.53
ფოიე-ვესტიბიული	დამხმარე ფართი	446.65
ვესტიბიულის ბარი	კომერციული ფართი	107.52
ვესტიბიულის მოსასვენებელი	დამხმარე ფართი	62.41
მიმღები	დამხმარე ფართი	20.88
მიმღბის ვესტიბიული	დამხმარე ფართი	42.06
მოსასვენებელი ადგილი	დამხმარე ფართი	239.61
გარდერობი	დამხმარე ფართი	6.87
ბანკი	კომერციული ფართი	25.8
სამზარეულო	დამხმარე ფართი	52.24
მომსახურების ოთახი1	დამხმარე ფართი	26.47
მომსახურების ოთახი2	დამხმარე ფართი	24.86
F და B მომსახურება	დამხმარე ფართი	32.72
კაცების ტუალეტი	დამხმარე ფართი	34.23
ქალების ტუალეტი	დამხმარე ფართი	23.91
კიბე 1	კიბის უჯრედის ფართი	72.37
კიბე 2	კიბის უჯრედის ფართი	38.94
საზოგადო ფოიე	დამხმარე ფართი	46.07
ოფისი	საოფისე ფართი	16.73
საცალო გაყიდვა	კომერციული ფართი	242.78
გასაქირავებელი სივრცე 1	კომერციული ფართი	386.8
გააქირავებელი სივრცე 2	კომერციული ფართი	162.64
მთლიანი ფართი		2389.09
პირველი სართული		
რესტორანი	კომერციული ფართი	294.6
ბარ-რესტორანი	კომერციულიფართი	136.15

შესასვლელი ოთახი	დამხმარე ფართი	238.87
საგარდერობო	დამხმარე ფართი	35.12
სამზარეულო	დამხმარე ფართი	64.07
მომსახურების ოთახი 1	დამხმარე ფართი	26.47
მომსახურების ოთახი 2	დამხმარე ფართი	24.78
F და B მომსახურება	დამხმარე ფართი	33.42
კაცების ტუალეტი	დამხმარე ფართი	23.91
ქალების ტუალეტი	დამხმარე ფართი	25.92
კიბე 1	კიბის უჯრედის ფართი	72.37
კიბე 2	კიბის უჯრედის ფართი	27.13
ლიფტის ვესტიბიული	კიბის უჯრედის ფართი	37.54
გასაქირავებელი სივრცე 1	კომერციული ფართი	268.73
გასაქირავებელი სივრცე 2	კომერციული ფართი	386.4
გასაქირავებელი სივრცე 3	კომერციული ფართი	162.64
მთლიანი ფართი		1858.12
მეორე სართული		
საკონფერენციო ოთახი		467.09
საკონფერენციო ოთახის ფოიე	დამხმარე ფართი	460.83
ადმინისტრაცია	საოფისე ფართი	120.15
შეკრების ოთახი1	საოფისე ფართი	76.86
შეკრების ოთახი2	საოფისე ფართი	37.73
შეკრების ოთახი3	საოფისე ფართი	37.75
შეკრების ოთახი4	საოფისე ფართი	34
შეკრების ოთახი5	საოფისე ფართი	67.51
შეკრების ოთახი6	საოფისე ფართი	130.16
შეკრების ოთახი7	საოფისე ფართი	162.64
კიბე 1-ის ფოიე	კიბის უჯრედის ფართი	106.52
კიბე 2-ის ფოიე	კიბის უჯრედის ფართი	181.51
სამზარეულო	დამხმარე ფართი	63.36
მომსახურების ოთახი 1	დამხმარე ფართი	26.47
მომსახურების ოთახი 2	დამხმარე ფართი	24.78
საწყობი	დამხმარე ფართი	25.92
კაცების ტუალეტი	დამხმარე ფართი	34.11
ქალების ტუალეტი	დამხმარე ფართი	23.91
კიბე 1	კიბის უჯრედის ფართი	72.37
კიბე 2	კიბის უჯრედის ფართი	27.13
ლიფტის ვესტიბიული	კიბის უჯრედის ფართი	37.54
მთლიანი ფართი		2218.34
მესამე სართული		
სამორინე	კომერციული ფართი	1592.5
ლიფტი	კიბის უჯრედის ფართი	20.37
ოფისი	საოფისე ფართი	16.73
მთლიანი ფართი		1629.6

მეოთხე სართული		
თავისუფალი ფართი		1862.71
ტექნიკური ლიფტი	კიბის უჯრედის ფართი	20.37
ოფისი	საოფისე ფართი	16.73
მთლიანი ფართი		1899.81

შ. პ. ს. ჯი აი პი ეს
საპროექტო-სამშენებლო სტუდია

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე № 29-ში მშენებარე სასტუმროს "მილენიუმის" მთავარი ბლოკის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

პროექტი დამუშავებულია ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- პროექტის მთავარი კონსტრუქტორი: გ. ბერიძე
- პროექტის მთავარი კონსტრუქტორი: ი. ურუშაძე

- ექსპერტი: ინჟინერ-კონსტრუქტორი: ო. ქვრივიშვილი.

პროექტი შედგება ძირითადი კორპუსისგან და მის ირგვლივ განთავსებულ "პოდიუმისგან".

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მთავარი ბლოკის და "პოდიუმის" პროექტის შემდეგი ნაწილები:

- მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო ანალიზი სტატიკურ და დინამიურ ზემოქმედებაზე;
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები
- არქიტექტურული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია
- კონსტრუქციული ნაწილის მუშა პროექტი.

საპროექტო შენობა წარმოადგენს 35 სართულიან შენობას 4 სართულიანი სარდაფით. გეგმაში მაღლივი შენობის გაბარიტული ზომებია 34 X 33,1 მ.

შენობის ირგვლივ მოწყობილია ე. წ. "პოდიუმი". მისი გაბარიტული ზომები გეგმაში ძირითად ბლოკთან ერთად არის 80 X 47.2 მ.

შენობის ვერტიკალური მზიდი ელემენტებია რკინაბეტონის პილონები და ბირთვები. ბირთვები შემოსაზღვრავენ კიბის უჯრედებს და ლიფტებს. გადახურვის ფენილს ქმნის მონოლითური რკინა-ბეტონის რიგელები და ფილები. B და C ღერძებს შორის გამოყენებულია ურიგელო შეერთება 300 მმ სისქის ფილით. კიბის საფეხურები ეწყობა რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილებზე. კიბის ფილები მონოლითურადაა დაკავშირებული ბირთვის კედლებთან.

I სართულის დონეზე არსებული აუზისა და საკონფერენციო დარბაზისთვის დამატებით მოწყობილია მონოლითური სვეტები.

შენობის ფარდობითი ნული შეესაბამება +424.7 მ ნიშნულს ზღვის დონიდან.

სამშენებლო მოედნის სეისმურობა – 8 ბალი, აჩქარების უგანზომილებო კოეფიციენტით 0,17 g.

თოვლი დატვირთვა – 0,5 კპა

ქარის სიჩქარე – 50 მ/წმ 50 წლიანი განმეორებადობით.

სამშენებლო მოედნისთვის ჩატარებულია გეოფიზიკური კვლევა. შედგენილია აქსელოგრამების 5 პაკეტი.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი განხილულ იქნა საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის შედეგებსა და პროექტის არქიტექტურულ ნაწილთან ერთად.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

ტერიტორიის ამგებ გრუნტებში გამოიყოფა 5 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სგე):**

I სგე – თიხნარი ძნელპლასტიკური;

II სგე – თიხნარი რბილპლასტიკური;

III სგე – მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი;

IV სგე – ძირითადი ქანი გამოფიტული;

V სგე – ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული.

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, ქვაბულის დამუშავებისას, საჭირო გახდება წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. წყლის შემოდინება ქვაბულის ყოველ კვ. მეტრზე მიღებულია 0,02 ლ/წმ, რაც დაზუსტდება ამოტუმბვის პროცესში.

შენობის საძირკველი ხიმინჯოვანი ტიპისაა. ეწყობა რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია 2 მეტრის სისქის რკინა-ბეტონის ფილით. ხიმინჯების დიამეტრი 1,35 მეტრია.

საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. პროექტში მითითებული, რომ ხიმინჯის წვერები უნდა დაეყრდნოს ქვიშაქვების ფენას. ხიმინჯების ფუძის აბსოლუტური ნიშნულია 397,4 მ. ხიმინჯები 10 მეტრითაა ჩაღრმავებული ძირითად ქანებში.

ხიმინჯის საყრდენი ფუძის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე არის Rc=18 მპა. E=5000 მპა.

ხიმინჯები ეყრდნობა ბევრად უფრო არაკუმშვად გრუნტს იმ გრუნტთან შედარებით, სადაც ხიმინჯების შემაერთებელი ფილაა განლაგებული. ამის გამო საძირკვლის ფილის ფუძის დრეკადობა, რომელიც საგების კოეფიციენტითაა გამოხატული, ანგარიშებში გათვალისწინებული არ არის.

ხიმინჯების მოწყობის შემდეგ გათვალისწინებულია მათი მთლიანობის შემოწმება ულტრაბგერითი მეთოდით.

ცალკეა დამუშავებული სატესტო ხიმინჯი.

ქვაბულის სამაგრ კონსტრუქციებად გათვალისწინებულია ხიმინჯებისგან მოწყობილი საყრდენი კედელი.

რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციებისთვის გათვალისწინებულია ბეტონი კლასით C40/50 (EN 206-1) და არმატურა A500C (TCH 102-00). ხიმინჯებისთვის დანიშნულია ბეტონი კლასით C30/37 (EN 206-1).

შენობის, როგორც ერთიანი სივრცული კარკასული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8-ბალიან სეისმურ და ქარის დატვირთვის ზემოქმედებაზე, ჩატარებულია კომპიუტერული კომპლექსების გამოყენებით.

შენობის სტატიკური და დინამიკური ანგარიში შესრულებულია ევროკოდის და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

შენობის წარმოდგენილი კომპიუტერული საანგარიშო მოდელის გეომეტრიული ზომები ემთხვევა არქიტექტურულ ნახაზებში წარმოდგენილ გეომეტრიულ ზომებს.

ანგარიში შესრულებულია პროგრამა Sap 2000 -ის გამოყენებით. ასევე გამოყენებულია პროგრამა Etabs, რომელიც თავსებადია Sap 2000 -სთან. ანგარიშები პარალელურად შესრულებულია პროგრამა Lira-SAPR 2013-შიც.

გაანგარიშება შესრულდა სასრულ ელემენტთა მეთოდით. შიდა კოჭები მოდელირებულ იქნა როგორც ღეროვანი ელემენტები, ხოლო კონტურის კოჭები, გადახურვის ფილები, პილონები და დიაფრაგმები განხილულ იქნა როგორც ფირფიტოვანი ელემენტები.

სტატიკური დატვირთვები მიღებულია თანახმად EN-1991-1-1:2002

შენობის გამოცდა მოხდა აეროდინამიკურ მილში კომპანია RWDI – ის მიერ. აეროდიმამიკურ მილში გამოცდის შედეგები თან ერთვის პროექტს.

ევროკოდის მიხედვით შესრულებულ სეისმურ გაანგარიშებაში მიღებულია შემდეგი მახასიათებლები:

გრუნტის კატეგორია B (EN 1998-1 ცხრილი 3.1).

ქცევის კოეფიციენტი – 3.12

სპექტრის ტიპი – I

სპექტრი გათვალისწინებულია ორი ძირითადი მიმართულებით. კომბინაციებში გათვალისწინებულია ექსცენტრისიტეტი 30%, ჩახშობა 5%, შემთხვევითი ექსცენტრისიტეტი 0.05 (თანახმად EN 1998-1, თავი 4.3.2)

გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სიხისტეთა მოდიფიკაციები. მათი მნიშვნელობები აღებულია ACI 318-11 (თავი 10.10.4.1) და ASCE 41-06 (თავი 6.3.1)-ის მიხედვით.

კოლონების დაარმირებისას გამოყენებულია ჩარჩოს ტიპი DSM, რაც საშუალო მოქნილობას გულისხმობს.

შენობის გადაადგილებები შემოწმდა სეისმური და ქარის დატვირთვების სხვადასხვა კომბინაციებზე.

ქარის დატვირთვისთვის მიღებულია შენობის მაქსიმალური დასაშვები გადახრა 1/500.

შენობის ზედა წერტილის მაქსიმალური გადაადგილება ფიქსირდება ქარის დატვირთვისას STW 1,0xyH კომბინაციისას, რაც შეადგენს სიმაღლის 1/467 ნაწილს. ეს კომბინაცია ითვალისწინებს ქარის დატვირთვის 100%-ს X მიმართულებით და 60 %-ს Y მიმართულებით. მართალია, ეს მნიშვნელობა 6,6 %-ით მეტია დასაშვებზე, მაგრამ იგი არ ემთხვევა გაბატონებული ქარის მიმართულებას და ამდენად ალბათობა იმისა, რომ მაქსიმალური ქარის სიჩქარე ამ მიმართულებით განვითარდეს, პრაქტიკულად არ არსებობს.

თბილისისთვის დამახასიათებელი ქარის გაბატონებული მიმართულების ყველაზე არახელსაყრელ შემთხვევაში შენობის მაქსიმალური გადახრა შეადგენს 24,5 სმ.-ს, რაც შენობის სიმაღლის 1/514-ია. ეს მნიშვნელობა ნაკლებია დასაშვებ გადაადგილებაზე.

სეისმურ დატვირთვაზე მაქსიმალური გადაადგილება არის 1/753-ს, რაც 16,7 სანტიმეტრს შეადგენს.

რხევის პერიოდი 2,8 წამია, რაც ასევე დასაშვებ ფარგლებშია.

პროექტთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნახაზები არ არის დანომრილი.
2. "პოდიუმის" საყრდენი კედლის კვეთში ნაჩვენებია ჰიდროიზოლაციის ფენა, მაგრამ მისი ტიპი არ არის მითითებული.
3. მონოლითური კოჭის B-106 ნახაზზე კვეთის ჭრილის ნომერაცია არასწორადაა მითითებული. "ჭრილი 2-2" -ის ნაცვლად უნდა იყვეს "ჭრილი 1-1"
4. კოჭი B-95-ის განშლაში მექანიკურად გაურკვეველი ზომებია დატანილი. ამის გარდა, არც ჭრილში და არც განშლაზე არ არის აღნიშნული შესაბამისი ნიშნულები.
5. კოჭების B-3, B-6 – B-10, B-15 ნახაზებზე არ არის დატანილი ნიშნულები.

დასკვნა

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია საჭირო სისრულით, მაღალ პროფესიულ დონეზე.

ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნები ეხება მხოლოდ პროექტის გაფორმებით ნაწილს.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა მშენებლობის განსახორციელებლად.

ექსპერტი:
ინჟინერ-კონსტრუქტორი: / ო. ქვრივიშვილი /

შ.პ.ს. "ჯი აი პი ენ"-ის დირექტორი: /ო. ქვრივიშვილი/

შ. პ. ს. ჯი აი პი ენ, საპროექტო-სამშენებლო სტუდია
მისამართი; თბილისი, სტურუას ქ. 24
ტელეფონი: 599 150088

შ.პ.ს. "ალტერნატივ გრუპ"

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის, "მილლენიუმი"-ს მთავარი ბლოკის, მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1) ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ.

I checked the report, report is EPORT, and municipality waited in the favor of the client.

თბილისი 2014 წ.

შ.პ.ს. "ალტერნატივ გრუპ"

ვამტკიცებ

შ.პ.ს. "ალტერნატივ გრუპ"-ის

დირექტორი ლ. ტყემშელაშვილი

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის, "მილლენიუმი"-ს მთავარი ბლოკის, მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1) ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ.

თბილისი 2014 წ.

დასკვნა შედგენილია 2014 წლის 30 სექტემბერს შპს „Dhabi Group in Georgia“ დირექტორის Awni Mina -ს განცხადების საფუძველზე. საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის “მილენიუმი”-ს მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1) ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ.

მშენებარე სასტუმროს კომპლექსის მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობაზე გავლენის კვლევა წარმოებდა “საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს” მიერ 1992 წელს გამოცემული – “საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა” და СП-13-102-2003-ის “შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამ მიზნით განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები:

1. სასტუმროს კომპლექსის კონსტრუქციული გადაწყვეტის და დაფუძნების პირობების დადგენა;
2. სასტუმროს კომპლექსის მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,49,51; მესხიას ქ.№1) შენობის ვიზუალური გამოკვლევა;
3. სასტუმროს კომპლექსის “მილენიუმი”-ს, მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1) ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესწავლა.

გამოყენებული მასალები:

1. ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის “მილენიუმი”-ს კონსტრუქციული ნაწილი;
2. ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის “მილენიუმი”-ს არქიტექტურული ნაწილი;

3. შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის "მილენიუმი"-ს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგური პირობების კვლევა. (2012 წ);
4. ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1 მდებარე შენობების შესწავლა არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით (17.09.2012 წ);
5. ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის "მილენიუმი"-ს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

გამოკვლევა

ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის "მილენიუმი"-ს პროექტის არქიტექტურული პროექტი შესრულებულია კომპანია "SHANKLATD COX"-ის მიერ, კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, მთავარი კონსტრუქტორები, გ.ბერიძე, ი. ურუშაძე

საპროექტო შენობა წარმოადგენს 35 სართულიან რკინაბეტონის კარასულ შენობას 4 სართულიანი სარდაფით.

უბანი, სადაც განლაგებულია შენობა, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სეისმიურობა - 8 ბალი
ქარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2
თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, 2012 წლის ივნისში, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის №29-ში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე, ჩატარებული

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მიხედვით გამოიყო ხუთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი

I სბე – თიხნარი (ფენა 2) ძნელპლასტიკური;

II სბე – თიხნარი (ფენა 2[1]) რბილპლასტიკური;

III სბე – მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი (ფენა 3);

IV სბე – ძირითადი ქანი გამოფიტული (ფენა 4);

V სბე – ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ არის განვითარებული.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით, რომელიც გამოვლენილია ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 2,2–7,1 მ-ის ფარგლებში, თიხოვანი გრუნტის ფენაში.

შენობის დაფუძნება ხდება ხიმიმნჯებით V სგე-ს, ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანის ფენაში, რომლის ძირითადი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე, ρ 2,30 გ/სმ^3

სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ = 10500 კპა(კგძ/სმ^2)

საგების კოეფიციენტი k = 100 კგძ/სმ^3

პუასონის კოეფიციენტი, μ = 0,2

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$ = <0.01 მ/დღ.ღ

საპროექტო შენობა წარმოადგენს 35 სართულიან რკინაბეტონის კარასულ შენობას 4 სართულიანი სარდაფით.

მისი მზიდი ელემენტებია რკინაბეტონის პილონები 2.0X0.4, 2.0X0.6, 1.5X0.4, 1.5X0.6 მ ზომებით, პილონები დაკავშირებულია ერთმანეთთან მონოლითური კოჭებით.

B და C ღერძებს შორის კომუნიკაციებისთვის გამოყენებულია ურიგელო შეერთება 300მმ სისქის ფილით.

დამატებითი სიხისტისთვის შენობას გააჩნია 3რკინაბეტონის ბირთვი, რომლებიც გამოიყენება ლიფტის შახტის და კიბის უჯრედისთვის.

კიბეები მონოლითურია და დაკავშირებული ბირთვის კედლებთან.

შენობას სარდაფის და 1 სართულის დონეში აუზის და საკონფერენცო დარბაზისთვის გააჩნია დამატებით მალები., რომლის მზიდი ელემენტებია მონოლითური სვეტები ზომით 1.0X0.4მ.

საძირკველი განხორციელებულია რკინაბეტონის ნაბურღნატენი ხმიმნჯებით და რკინაბეტონის მონოლითური ფილით სისქით 2.0მ. ფილა ანაწილებს შენობის დატვირთვას 120 ცალი 1.35მ დიმაეტრის ხიმინჯზე, რომლებიც ეყრდნობა გამოფიუტლი ქვიშაქვების და არგილიტების ფენას, ძირითად ქანში 10მ სიღრმით შეჭრით (ხიმინჯის ძირის აბსოლიტური ნიშნულია 397.4 მ).

ხიმინჯის თავზე მოწყობილი ფილის ძირის ნიშნული, მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 10-12 მ. სიღრმეზე. უახლოესი მანძილი მშენებარე ნაგებობიდან მომიჯნავე შენობამდე შეადგენს ------ მ-ს, რითაც დაცულია სამშენებლო ნორმები და წესები – "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ-02.01-08) მუხლი 10, პუნქტი 5.

რაც შეეხება შენობიდან მოსული დატვირთვებს, იგი მთლიანად გადაეცემა ხიმინჯების საშუალებით ძირითად ქანებს და მათი გავლენა მშენებარე ნაგებობის მომიჯნავე შენობებზე პრაქტიკულად არ იქნება.

სასტუმროს კომპლექსის მომიჯნავე შენობების ვიზუალური გამოკვლევა;

თაბუკაშვილის ქ. №51

შენობა 3 სართულიანია, გეგმაში რთული მოხაზულობის. აშენებულია მე20 საუკუნეების მიჯნაზე.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 120სმ-ია.

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე შეინიშნება სხადასხა დროს შესრულებული მიშენებები



სურ.1. ფასადი თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან

Alternative Group



სურ.2. გვერდითი ფასადი



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია. ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

თაბუკაშვილის ქ. №49

შენობა 1 სართულიანია მთავარი ფასადის მხრიდან და ქანობიანი რელიეფის გამო 3 სართულიანიაეზოს მხრიდან, იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე20 საუკუნეების მიჯნაზე.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, სისქით პირველ სართულზე დაახლოებით 120სმ.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. მთავარი ფასადის კედლები

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე შეინიშნება საძირკვლებზე ჩატარებული გაძლიერებები

Alternative Group



სურ.3. საძირკვლებზე ჩატარებული გამობურცვა მზიდ კედელში



სურ.4. ბზარები და ვერტიკალურობიდან გაძლიერების ხედი

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია. ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.



სურ.5. დაზიანებები მზიდ კედლებში



სურ.6. დაზიანებული მზიდი კედლები და იატაკი

შპს "ალტერნატივა ჯგუფი" Alternative Group

თაბუკაშვილის ქ. №47

შენობა 2 სართულიანია მთავარი ფასადის მხრიდან და ქანობიანი რელიეფის გამო 3 სართულიანიაეზოს მხრიდან, იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე20 საუკუნის დასაწყისში 1915 წელს.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.

შენობას გააჩნია ნახევარსარდაფი



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში და ფანჯრის ღიობის მოჩარჩოება



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან



სურ.4. ბზარები მზიდ კედლებში

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე შეინიშნება ფანჯრის ღიობების გაძლიერება

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.





სურ.5,6. ბზარები მზიდ კედლებში

თაბუკაშვილის ქ. №45

შენობა 2 სართულიანია. იგი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა. აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.

შენობას გააჩნია ნახევარსარდაფი



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში და ფანჯრის ღიობის მოჩარჩოება



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან



სურ.4. ხის გადახურვა

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე სარდაფის დონეზე შეინიშნება ფანჯრის ღიობების გაძლიერება ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

თაბუკაშვილის ქ. №43

შენობა 2 სართულიანია მთავარი ფასადის მხრიდან და ქანობიანი რელიეფის გამო 3 სართულიანიაეზოს მხრიდან, იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე20 საუკუნის დასაწყისში 1900 წელს.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.

შენობას გააჩნია ნახევარსარდაფი



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში და ფანჯრის ღიობის მოჩარჩოება



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან



სურ.4. ბზარები მზიდ კედლებში

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე შეინიშნება ფანჯრის ღიობების გაძლიერება

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

თაბუკაშვილის ქ. №41

შენობა 3 სართულიანია მთავარი იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე-19 და მე20 საუკუნეების მიჯნაზე.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 90 - 100სმ-ია.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში და



სურ.3. ბზარები მზიდ კედლებში



სურ.4. ფასადი ეზოს მხრიდან

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. პირველი სართულის კედლები მუდმივად ნესტიანია. Iატაკები დაქანებულია. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.



სურ.5. დეფორმირებული აივანი

თაბუკაშვილის ქ. №39

შენობა 2 სართულიანია. გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე20 საუკუნის დასაწყისში.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში და

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შპს "ალტერნატივი გრუპი"
Alternative Group



სურ.3. ბზარები მზიდ კედლებში

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

თაბუკაშვილის ქ. №37

შენობა 3 სართულიანია. განთავსებულია დახრილ რელიეფზე., იგი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 12X10 მ.. აშენებულია მე20 საუკუნის 60-იან წლებში.

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი რკინაბეტონის გულარებითა და სარტყლებით გაძლიერებული კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, ბლოკის

სართულშუა გადახურვები – მონოლითური რკინაბეტონის

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.





სურ.1.2 მთავარი ფასადი

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თაბუკაშვილის ქ. №35

შენობა 3 სართულიანია მთავარი ფასადის მხრიდან და ქანობიანი რელიეფის გამო 4 სართულიანიაეზოს მხრიდან, იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე20 საუკუნის დასაწყისში 1915 წელს.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2დაზიანებული ფასადის კედელი



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან



სურ.4. სადარბაზო

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

თაბუკაშვილის ქ. №46

შენობა 3 სართულიანია მესხიას ქუჩის მხრიდან და 4 სართულიანი ოპერის მხრიდან. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. აშენებულია მე-20 საუკუნის მიჯნაზე.

საძირკვლები – ლენტური ნაწილობრივ ფლეთილი ქვისაგან, ნაწილობრივ აგურის

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 80 - 90სმ-ია.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2. ბზარი ფასადის კედელში



სურ.3. ფასადი ეზოს მხრიდან



სურ.4. ბზარები მზიდ კედლებში

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

შენობაზე შეინიშნება გაძლიერებები, ასევე ეზოს მხრიდან გააჩნია ნაწილობრივი მიშენებები. ნაგებობის ნაწილიდან (ნგრევის პირამდე მისული ნაწილი) გასახლებულია მოსახლეობა.

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის რესურსი ამოწურულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

მშსხიას ქ. №1

შენობა 5 სართულიანია. აშენებულია 1953 წელს. იგი განთავსებულია საშუალო ქანობიან რელიეფზე. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა ზომებით დაახლოებით 15X50 მ.

საძირკვლები – ლენტური ყორებეტონისაგან

საანაგრიშო სქემა - მზიდი წვრილი შემავსებლებისაგან შემდგარი კედლებით.

კედლები – წვრილშემავსებლებიანი, წითელი აგურის, კირ–თიხოვან დუღაბზე, მათი სისქე პირველ სართულზე დაახლოებით 90 - 100სმ-ია.



სურ.1. მთავარი ფასადი



სურ.2დაზიანებული ფასადის კედელი



სურ.3. ბზარი ფასადის კედელზე

სართულშუა გადახურვები – ხის კოჭებზე

სახურავი – ხის კოჭებზე თუნუქის ბურულით.

შენობას არ გააჩნია ანტისეისმიური სარტყელი

2004-2005 წლებში ნაგებობის საძირკვლებს ჩაუტარდათ გაძლიერების სამუშაოები, რასაც ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, გაუმჯობესების მხრივ, შედეგი არ მოუტანია (იხ. ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1 მდებარე შენობების შესწავლა არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით (17.09.2012 წ);

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებში შეინიშნება ბზარები. კიბის უჯრედის კედლები დაზიანებულია.

ნაგებობაში განვითარებული დაზიანებების ძირითადი მიზეზია როგორც გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევების მიხედვით შესაძლებელია დადგიდეს:

1. ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის "მილენიუმი"-ს შენობა ვინაიდან ხიმინჯების საშუალებით ეყრდნობა ძირითად ქანებს, გავლენას არ იქონიებს მომიჯნავე შენობების (თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1) ტექნიკურ მდგომარეობაზე.
2. თაბუკაშვილის ქ. №№ 35,37,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1 მდებარე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენა არ უქონია მიმდინარე მშენებლობასაც. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი რომ, თაბუკაშვილის ქ. № 37-ში მდებარე ნაგებობას, რომელსაც არ გააჩნდა ბზარები მშენებლობის დაწყებამდე, არ გააჩნია ბზარები დღეის მდგომარეობითაც. ასევე, ყოფილი "იმელ"-ის შენობის, მშენებარე ნაგებობაათან უშუალო სიახლოვეს მყოფი კედელი, რომელსაც მშენებლობის დაწყების წინ ჩაუტარდა გამაგრება და მათზე გამაგრების შემდეგ დამაგრებული იქნა თაბაშირის მანიშნები, არ არის გახსნილი, ე.ი. მათში ბზარები არ განვითარებულა.
3. ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. №29, მშენებარე სასტუმროს კომპლექსის "მილენიუმი"-ს მშენებლობის პროცესში, სამშენებლო ტრანსპორის შესვლა სამშენებლო მოედანზე მშენებელთა გამოკითხვითა და ადგილზე დათვალიერებით, ხორციელდება გვირაბიდან, ტრანსპორტი არ ხვდება თაბუკაშვილისა და მესხიას ქუჩებზე.
4. ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №№ 35,39,41,43,45,46,47,49,51; მესხიას ქ.№1 მდებარე ნაგებობებს დაზიანებები მიღებულია აქვთ სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის დაწყებამდე გაცილებით ადრე, აღნიშნული შენობების დაზიანებების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია:
   ა) დაზიანებული კომუნიკაციებიდან წყლების საძირკვლებში ჩადინება
   ბ) გრუტის წყლების კაპილარული ეფექტი
   გ) მიწისძვრები
   დ) ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულ კვლევებში მოყვანილი მოსაზრება, რომ "საკვლევი შენობების სამშენებლო

მოედანი, მისი გრუნტის ტიპის და მაღალი ტენიანობის გამო, არ არის სტატიკური, მას ახასიათებს ფერდის დახრის მიმართულებით გადაადგილების დინამიკა, რომელიც ვითარდება ძალიან დიდხანს, ათწლეულების განმავლობაში".

ინჟინერ კონსტრუქტორები ლ. ზამბახიძე

დ. რამიშვილი

